სახალხო გაზეთი

№ 455 შაბათი, 19 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 455

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება „სახალხო გაზეთის" რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ზელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ ახ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი მზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо [illegible]" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დ. ყვირილაში

„ორიჰნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 გიორგობისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 1 მან. 60 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (П. Я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

სახაზინო თეატრი

კვირას, 20 ნოემბერს, მოხდება „ცოცხალი გვამის" (ЖИВОЙ ТРУПЪ) სალიტერატურო

გასამართლება

ლ. ნ. ტოლსტოის პიესიდან.

მსაჯულნი (ПРОКУРОРЪ) იქნებიან ბბ. ქალთა უმაღლეს კურს ბის მაგისტრი სპილიოტი და გიმნაზიის მასწავლებელი როზოვი. დაიცავს ბ. კოზლოვი და არტისტი სმოლენსკი, უკანასკნელი გამოვა თვით პროტასოვის როლში და თავის გასამართლებლად წარმოსთქვამს სიტყვას გასამართლების თავმჯდომ. ბ. პალმოვი. ნაფიც მსაჯულებად გამოვლენ ქ-ნი რომანიშვილი, გრაბოვსკაია, ბბ. ყურული, არგუთინსკი-დოლგორუკოვი, გოგრაევი, ათანასიანი, გულისოვი, დუბროვინი, ეგანჯულოვი, კოლუბიაკინი, კროტკოვი, ლებანი, სარქისოვი და დუბანოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები იყიდება დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე.

(5—1592—4)

ახალი კლუბი

შაბათს, 19 ნოემბერს,

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო.

ქართული თეატრის სცენაზე: მშვენიერი გალატეა,

ოპერეტა 2 მოქ., მუს. ზუპპესი. ● ქ-ნნი: ნ. ა. პრეხინსკაია, ს. მ. მიხაილოვასი, ბ.ბ. გ. ლ. მეგვინიევ-მანინის და ვ. გ. ვალერიანოვის მონაწილეობით. დასაწყ. საღ. 9 ს. ორკესტრში 30 კაცია. გალერეია ყველასთვის ხელმისაწვდომია. კლუბში შესასვლელ ფასის გადაუხდელად, ადგილების ფასი გალერეიაში 20—10 კ. ადგილების ფასი თეატრში 1 მ. 20 კ.-დე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელად: კაცი 1 მ., ლიჟა 50 კ., სტუდენტი 25 კ. ა ნ ო ნ ს ი: სამშაბ., 22 ნოემბ., „დემონი", ოპ. რუბინშტეინისა (2 აქტი), და „სცენა წერილით", ოპ. „ევგენი ონეგინი", ი. ა. სარაჯიშვილისა და მ. გ. მინკევიჩის მონაწილეობით.

(2—1583—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—178

ექიმი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინით.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10 ტელეფ. 792. (თ 100—1534—29)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ბეჟანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დემურიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ქალ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—1½ ს.

შელიქაშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მაჭავარიანი შ. ა.—შინაგან და ბავშვ ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედარებით. საფასურით. (წ. 1089 612

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.18)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N [illegible] სახლი [illegible].

ექიმი მ. ნ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლავებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (ხანდ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—76

ექიმი ნ. ტ. მულიძე ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—28)

იასტაკის საუკეთესო დასაგები

ლიგავის ლინოლეუმი

პრობკის მანუფაქტურის სააქციონერო ამხანაგობა

ციკანდლერის და ლარსონისა.

ტფილისის განყოფილება და საწყობი.

გოლოვინის პროსპექტი № 9. სასტუმრო ორიანტის ქვეშ. ტელეფონი № 490. (7.1535 3)

ქართველ ამომრჩეველთა

საზოგადოება

კვირას, 20 ნოემბერს, 12 საათზე, ქართულ თეატრში დანიშნულია

ქართველ ამომრჩეველთა საზოგადო კრება,

რომელიც განიხილავს არჩევნების შესახებ მიმდინარე საქმეებს.

(2—1597—1)

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის

კრებული

აუწყებს ამა ეკლესიის მრევლს, რომ კვირას, გიორგობისთვის 20-ს, წირვის შემდეგ, დანიშნულია

მნათის არჩევანი

(3—937—2)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ა. მ. ახმახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ყაუხჩოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლეიდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ა. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყამარკოროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—21)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამოკვლევა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—59.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა [illegible], კანისა და ვენერ. 11—[illegible]

ბ. ა. მოშკოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

[illegible]

წამლობა „606"-ით.

(წ. 1090—216)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 [illegible]—37)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1559—13)

ექიმი მ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

მლისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—42)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადედაკაცო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაიმუსებს, სადედაკაცო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნი ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—46)

ექიმი ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს

ექიმი გ. ლოლობერიძე

ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაციდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—2)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

17 ნოემბერი.

დღეს 16 ნოემბრის საიდუმლო სხდომის ანგარიშის დაბეჭდვის ნებართვა გამოაცხადეს.

როძიანკო თავმჯდომარეობს. განიხილეს 50 წევრისაგან შეტანილი შეკითხვა, იუსტიციის მინისტრისადმი.

შუბინსკი ოქტომბრისტების სახელით აცხადებს, შეკითხვა სერიოზული არ არის, შემკითხველთ მხოლოდ ჰსურთ ეხლაც გაიმეორონ ის, რაც მეორე სათათბიროს საიდუმლო სხდომამ განიხილა. ასეთი მოქმედება ობსტრუქციაა, დინჯ და ნაყოფიერ მუშაობის ხელის შემშლელი. ჩვენ მოვითხოვთ შეკითხვის უკან დაბრუნებას, რადგან მათ არ მოინდომეს მისი კომისიისთვის გადაცემა (ტაში მარჯვნივ და ცენტრში).

პოკროვსკი მე-2 აცხადებს, ოქტომბრისტებს არა ჰსურთ შეკითხვის განხილვა, რადგან ერთად-ერთი გზა ყოველ საკითხის განხილვისა ლიბერალობის იდეის დარღვევის აღნიშვნა, მაგრამ სათათბირო საზოგადოების კონტროლს უარჰყოფს და კრებას საიდუმლოდ აცხადებს, ამიტომ ს.-დემოკრატებს უკან მიაქვთ შეკითხვა.

შუბინსკი ოქტომბრისტების წინადადების გადაწყვეტას კენჭის ყრით მოითხოვს.

გეგეჭკორი. შეკითხვა უკან წავიღეთ და ოქტომბრისტების წინადადების მიღება რაღა საჭიროა?

თავმჯდომარე აცხადებს, შემკითხველთ უკან წაიღეს შეკითხვა და კენჭის ყრა ამიტომ არ შეიძლება. სხდომა დაიხურა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ დეპეშით საგენტო იუწყება, რომ მთავრობამ ნება დართო კავკასიის **შავი-ზღვის მრეწველთა** ჩვეულებრივი კრება გაიმართოს 29 ნოემბერს.

◆ კვირას, 20 ნოემბერს, 12 საათზე დანიშნულია ქართულ თეატრში, **ქართველ ამომრჩეველთა საზოგადო კრება**, რომელიც განიხილავს არჩევნების შესახებ მიმდინარე საქმეებს.

◆ **ხმოსანთა სიები.** პირველ უბანში გამოქვეყნებულია სიები ამომრჩეველთა ყველა ჯგუფებისა: 1) რუსებისა, 2) ქართველ, რუს და სომეხ ამომრჩეველთა ბლოკისა, 3) ცენტრისა და ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფისა და 4) ახალი ჯგუფისა. პირველი ჯგუფი არ ასახელებს არც ერთ ქართველს ან სომეხს ხმოსნად, მაგრამ ამ ჯგუფის კანდიდატებში ითვლებიან პეტრე სიმონის ძე ვასილიევი, რომელიც ქართველ, რუს და სომეხ ამომრჩეველთა ბლოკის მიერაც არის დასახელებული ხმოსნად და პავლე კონსტანტინეს ძე ვერესოვი, რომელიც ახალი ჯგუფის მიერაც არის დასახელებული. ბლოკის სიაში 4 ქართველია—(პ. გოთუა, ი. სულაბერიძე, სტ. კრელაშვილი, ლევ. ვაჩნაძე), 6 რუსი და ორიც სომეხი. ცენტრისა და ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფის მიერ დასახელებულია: 6 ქართველი (ბერულაშვილი, ივ. ჯაბადარი, სიმ. კლდიაშვილი, ალ. პ. სარაჯიშვილი, ილ. ხარაშვილი და სტ. კრელაშვილი); ამათგან სტ. კრელაშვილი ბლოკის მიერაც არის დასახელებული ხმოსნად და ჯაბადარი—ახალი ჯგუფისაგან; 3 სომეხი და 2 რუსი. ახალი ჯგუფის მიერ დასახელებულია ჯერ-ჯერობით ერთი ქართველი (ივ. სპ. ჯაბადარი), ერთი სომეხი (კატანიანი) და 5 რუსი და მათში (პ. კ. ვერესოვი).

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** 17 ოქტომბერს ახალგაზდანი შეამოწმა და 4 კაცი მიიღო. სამსახურში მისაღებთა სრულს კომპლექტს 32 კაცი აკლია.

◆ **საბავშვო კითხვა.** კვირას, 20 ნოემბერს, სამკურნალო საზოგადოების სადგომში ქ-ნი ავალიანი ბავშვთათვის წაიკითხავს ქართულად: „მძინარე დედოფალი". დასაწყისი დილის 11 საათზე. შესვლა უფასოა.

◆ **ნებადართული პიესა.** ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ პ. ირეთელის ახალი პიესა „ჩვენი სოფლის გმირები".

◆ **საქალაქო არჩევნები** ქალაქის გამგეობის სადგომში ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა განცხადება გამოაკრვინა, რომლითაც ამომრჩეველთ სთხოვს, უსაქმოდ თავი არ მოიყარონ შენობაში და მით მყუდროება და წესიერება არ დაარღვიონ.

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ 17 ნოემბერს:** ტფ. გუბერნატორი, ფოთის ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე და ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ინჟინერი ზუროვი.

◆ **შეწირულება.** პოლკოვნიკმა ი. ა. ფირადოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა თავისი ანდერძი, რომლითაც ქალაქს 20,000 მან. უტოვებს. ამ ფულის სარგებლის ნახევარი ასის წლის განმავლობაში თვით თანხას უნდა ემატებოდეს, ხოლო ნახევარით პრემია უნდა დაინიშნოს სამეცნიერო შრომებისთვის.

◆ გინმე ოქანეზოვი ქალაქის გამგეობას წინადადებას აძლევს, ქალაქის დაწესებულებანი ტუგიბულის ქვანახშირით გაათბოთ. მის გამოანგარიშებით ქალაქს გათბობაზე იმ ფულის ნახევარი დაეხარჯება, რასაც ახლა ხარჯავს.

◆ ტფილისში უგზოდ დაიკარგა გაზეთის ქუჩაზე მცხოვრები საქუდე ნიკოლოზის ძე შაშოვი (იგივე ნასყიდოვი), 15 წლისა.

ეროვნული

◆ ზოლიცმეისტრის კანცელარიის ცნობით წარსულ ოქტომბრის განმავლობაში ტფილისში 163 ბოროტმოქმედება მომხდარა, რომლის გამოც შეუპყრიათ 187 კაცი.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება 17 ნოემბერს მოხდა. საბჭოს მოხსენდა ამბავი ქალაქის პენსიონერის კ. შლიფის გარდაცვალების შესახებ, რომელმაც ქალაქს 500 მან. (?) დაუტოვა. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დაადგინა, მისი სურათი ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის შენობაში დაჰკიდოს. მოხსენება ქალაქის გამგეობასთან სამატერიო განყოფილების დაარსების შესახებ სხვა დროისთვის გადაიდო. კრებას მოხსენდა აგრეთვე შედეგი ქალაქის საბავშვო საავადმყოფოს შენობის დათვალიერებისა. როგორც ვწერდით, შენობა აგებულ იქმნა ძმ. ზუბალაშვილების ხარჯით, რომელთაც განუზრახავთ საავადმყოფოს სრული მოწყობაც თვით იკისრონ. საგანგებო კომისიას ეს შენობა დაუთვალიერებია და გამოურკვევია, რომ მის მოსაწყობად საჭირო იქნება 100,000 მანეთამდე.

სასწავლებლებში

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** შუამდგომლობს, რათა სახალხო განათლების სამინისტროს 1913 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი იქმნეს 21,785 მან. ეს ფული საჭიროა ვერის სავაჟო პროგიმნაზიის გიმნაზიად გადასაკეთებლად.

ქუთაისი

◆ ხმოსნებს,—ბექაიას, ბარაბაძეს, ტყეშელაშვილსა და ასათიანს განცხადება შეუტანიათ ქალაქის თვითმმართველობაში, რომ **კათოლიკეთა მოედანზე** სოფლელებს წვრილ ფეხა საქონლით ვაჭრობის ნება მიეცეთო.

ჩვენ ძალიან წინდაუხედველად მიგვაჩნია ასეთი განცხადების შეტანა იმ დროს, როცა ეს მოედანი კარგა ხანია მიჩნეულია გაბრიელ ეპისკოპოსის სახელის ბიბლიოთეკისა და წიგნთ-საცავ სამკითხველოს შენობის ასაგებად.

აგერ მეხუთე წელიწადია, ეს ბიბლიოთეკა დახურულია. მზრუნველი ამ ფრიად საჭირო დაწესებულებისა, პატივცემული ელ. ჯინოვისა, ეს მეხუთე წელიწადია დაუღალავად იღვწის ამ საქმისათვის, ძლივს, როგორც იყო, გეგმაც მზად არის და მხოლოდ თვითმართველობის სანქცია-ღაა საჭირო, რომ შენობის აგებას შეუდგნენ.

ქალაქის შუა-გულს სიბინძურე უნდა აშორდეს და სწორედ ამითი იხელმძღვანელა თვითმართველობამ, როცა ეს ადგილი მიუჩინა ბიბლიოთეკის შენობას.

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ ქიათურაში **მეორე აფთიაქის** გახსნის ნება მოითხოვა. ქუთაისის საგუბერნიო მართველობის საექიმო განყოფილებამ ამ თხოვნაზე საბჭოს უარი უთხრა.

◆ სავაჭრო-სამრეწველო სამინისტრომ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მოსთხოვა **ექსპორტერთა სია**.

◆ ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსების სამეურნეო კომიტეტი შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს **შემწეობას სთხოვს**, ვინაიდან ანგარიშით წელს 13 ათას მანეთამდე ზარალია მოსალოდნელიო.

◆ ჩვენი დასი წარმოადგენს ბ. გედევანიშვილის პიესას—„**მსხვერპლი**“. ორი წელიწადია, რაც ეს პიესა კარგ შემოსავალს აძლევს ტფილისის დასს. ამ პიესისათვის იხატება ახალი დეკორაციები. მონაწილეობს ჩვენი დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე.

◆ ორშაბათ საღამოს ტყავით მოვაჭრე აბელ ყაზაროვს სახლიდან მისმა ნოქარმა ბ. სიხარულიძემ **მოსტაცა გასათხოვარი ქალი** ვერა, 18 წლისა. კვალს ვერ მიაგნეს.

◆ ბ. ხვინგიას საწვრიმალო მაღაზიიდან, რომელიც მესხეთის ქუჩაზეა, სამშაბათს ღამით, დახლიდან 35 მან. მოუპარავთ. ქურდები ვერ აღმოუჩენიათ.

◆ სოხუმის ქალაქის საბჭოს დაუდგენია, შუამდგომლობა აღძრას მეფის მოადგილის წინაშე, რომ სოხუმში მოწვეულ იქნას, შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებისა და დაბების **წარმომადგენელთა კრება**, რომ ერთად შეიმუშაონ შუამდგომლობა შავი ზღვის პირის რკინის გზის გაყვანისა. ამიტომ სოხუმის ქალაქის გამგეობა სთხოვს ქუთაისისას, წარმომადგენელი გამოჰგზავნოს.

◆ ქალაქის გამგეობას დაუდგენია, შეიძინოს „**სამოსვეტის**“ ფირმიდან სამი ფარანი, ქალაქის ბიბლიოთეკის გასანათებლად.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: დაევალოს ქალაქის მიწის მზომელს ბ. ტატარენკოს **სალთხის** აგარაკის საიჯარო ადგილების საქმის წარმოება ხსენებულ აგარაკის გამგე ბ. ნაკაიძესთან ერთად.

◆ ქალაქის გამგეობას წინადადება მიუცია ქალაქის ინჟინერისავვის, რომ ერთი კვირის განმავლობაში **წარმოუდგინოს მოხსენება** ქუთაისში წყალსადენისა, ელექტრონით განათებისა და ტრამვაის გაყვანის თაობაზე. მოხსენებაში დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული რამდენად დაჯდება ხსენებულ საქმის მოწყობა შინაურის წესით.

◆ **ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა.** შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ტფილისის ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვისა და მის მეუღლისაგან: „ერთხელ კიდევ გულითად მადლობას გიძღვნით არაჩვეულებრივი გულმხურვალე მასპინძლობისათვის. გთხოვთ, ყველას, ვინც პატივი გვცა, ჩვენი ულრმესი მადლობა გადასცეთ“.

◆ ვ. ურუშაძეს, ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო 1 დეკემბერს გამართოს ქალაქის თეატრში სალიტერატურო-საიუმორო **საღამო**.

◆ **ხარაგოული.** სესხის ამხანაგობას სახელმწიფო ბანკმა მისცა 2000 მ. და მოკლე ვადით 3,000 მ.—ოპერაცია დაიწყება 1 დეკემბერს.

◆ წვრილ სესხის ინსპექტორს თ. ზ. მიქელაძეს განზრახვა აქვს 1 დეკემბერს **მოიწვიოს საზოგადო** კრება და წაუკითხოს რამდენიმე ლექცია.

◆ ამასთანავე ცდილობს გამოსცეს თვიური ჟურნალი „**კავშირი**“.

(„კოლხიდა“)

პროვინცია

◆ **ხარაგოული.** ხუთ ნოემბერს ადგილობრივ ორ კლასიან სამინისტრო სკოლის დარბაზში მოხდა კრება **წვრილ სესხის ამხანაგობის** დაარსების თაობაზე. დაესწრო 25 წევრი. კრების გახსნისთანავე ბანკის ინსპექტორმა ბ. მიქელაძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ ამხანაგობის მნიშვნელობა. კრებამ ერთხმად დაადგინა, დაარსდეს ამხანაგობა. შემდეგ შეუდგნენ გამგეობის და საბჭოს წევრების არჩევას, ფარულის კენჭის ყრით. გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნა ბ-ნნი: მელქო კიკნაძე (25 თ.) ლევანტი ქიპაშვილი (13 თ. 12 შ.) და სეფე ლეჟავა, რომელიც ჯერ გაშავებულ იქნა (12 თ. 13 შ.), მაგრამ ხელ მეორედ უყარეს კენჭი და მოუვიდა 15 თ. 10 შ. მათ კანდიდატებათ აირჩიეს ბ-ნნი პლატონ ლეჟავა და ნარიმან გუნცაძე. საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნა ხუთი პირი.

◆ **თიანეთი.** სოფ. ახმეტის საფოსტო განყოფილებასთან სახელმწიფო შემნახველი კასა გაიხსნა.

◆ **ტფ. მაზრა.** აღბულაღთან ტყეში იპოვეს ტყვიით მოკლულ იოსებ პოლოსოვის გვამი.

◆ **გორი.** სოფ. რუისის მცხოვრები სვიმონ ელჩიაშვილი ქარელიდან ურმით თავის სოფელში მიდიოდა, მას გზაზე შეხვდნენ რუისელი გლეხი საათაშვილი და დირბელი პაატაშვილი და ჩხუბი აუტეხეს, რომლის დროსაც საათაშვილმა დანით მძიმედ დასჭრა ელჩიაშვილი. დაჭრილი უკვე გარდაიცვალა.

◆ **ს. დვანი.** (გორის მაზრა) ევგენი ივანეს-ძემ ფაილენიშვილმა თოფით მოჰკლა დიმიტრი თოქმაშვილი. მიზეზი პირადი მტრობა ყოფილა.

მოულოდნელი უკანონოება

ამას წინად დასავლეთის საქართველოს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯგუფისაგან მე მომივიდა კოპიო, ანუ ასლი, ერთის ცირკულიარულის განკარგულებისა, რომელიც მოუხდენია იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს. ეს ცირკულიარი უბრძანებს სამაზრო მეთვალყურეებს, რუსულის ენის სწავლება დააწყებინეთ პირველის წლის სექტემბრიდან, და არა იანვრიდან, როგორც აქამდის იყო, ხოლო რუსული წერა-კითხვა შემოაღებინეთ პირველი იანვრიდან, ნაცვლად მეორეს წლის ენკენისთვისაო. განკარგულება ესე მოუხდენია არა ბიუროკრატიულს დაწესებულებას, არამედ ადგილობრივს, ჩვენებურ საბჭოს, რომელიც შესდგება მთლად ქართველებისაგან, ქართველი საეპარქიო მეთვალყურის დროსა, და დაუმტკიცებია ქართველს მღვდელმთავარსა.

ასეთს ბიუროკრატიულს ულტრა-ერთგულებას სრულიად არ მოველოდით ხსენებულის საბჭოსაგან. წინააღმდეგ ამისა, სრული იმედი მქონდა, რომ, თუ მსგავსს რასმე ურჩევდნენ ზევიდან, საბჭო დასაბუთებული მოხსენებით ცხად ჰყოფდა ნაბრძანების ცვლილების შეუსაბამობას და მავნებლობას და არსებულს სამოსწავლო გეგმას მტკიცედ დაიცავდა მეტის დამახინჯებისაგან. მაგრამ მოლოდინიც არ აგვისრულდა, იმედი გაგვიცრუვდა.

პედაგოგიაში აქსიომად არის აღიარებული, რომ ბავშვმა მას უკან უნდა იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა. ამ მოძღვრების მიხედვით, პირველ ორს წელიწადს ყველგან მთლად და სავსებით ანდომებენ დედა-ენას და მხოლოდ მესამე წლიდან აწყებინებენ სხვა ენასა. ასეთი წესი მიაჩნიათ ფრიად სასარგებლოდ ბავშვის გონების ნორმალურად განვითარებისათვის და თვით უცხო ენის შეთვისებისათვის სრული შეგნებით. ასეთივე წესი მიღებულ იქმნა ამიერ ქართველ სახალხო მასწავლებელთა კრებულის მიერ მზრუნველ ნევეროვის დროსა, და იგივე წესი საუკეთესოდ სცნო მოძრაობის დროს, იმიერ მასწავლებელთა კრებულმა. ამ გადაწყვეტილებაზე ბევრით დაბლა სდგას სამოსწავლო გეგმა მზრუნველის იანოვსკისა, რომელიც რუსულს ენას ზეპირსიტყვაობით იწყებს პირველის წლის შუალა რიცხვებიდან და რუსულს წერა-კითხვას სავალდებულოდ სდებს მეორე წლის დასაწყისიდან. მაგრამ იგი ამ ჟამად წარმოადგენს კანონიერს დებულობას, რადგანაც დამტკიცებულია ორი ნამესტნიკის მიერ, და უნდა ხორციელდებოდეს სკოლებში დაუმახინჯებლად. ამავე გეგმას ეთანხმება ჩვენებურის სამრევლო სკოლების სამოსწავლო პლანი, თავისს დროზე დამტკიცებული სინოდისაგან.

ცვლილება, რომელიც მოუხდენია სამოსწავლო გეგმაში იმერეთის საეპარქიო საბჭოს არამც თუ დიდად ეწინააღმდეგება პედაგოგიურს მცნებას, არამედ უარესია იმაზე, რაც ჩვენის ქვეყნისათვის გაუმეტებიათ ბიუროკრატ პოლიტიკანებსა. და სად ახდება ეს ულტრა-პოლიტიკანური განკარგულება? ქართულს სასულიერო სფეროში, რომელიც მოშორებული უნდა იყოს ყოველ გვარს პოლიტიკანობას და ემსახურებოდეს შეურყევლად, თამამად და გაბედულად მოსწავლეთა გონებრივად, ზნეობრივად და სარწმუნოებრივად განვითარებასა.—

ყველა ცოტაოდნად შეგნებულმა ადამიანმა კარგად იცის, რომ პირველი წელი სწავლისა მეტად ძნელია ბავშვისათვის მაშინაც კი, როდესაც მას ამ დროს საქმე აქვს მხოლოდ ერთს დედა-ენასთანა. იმერეთის საბჭო ამ სიძნელეს აორკეცებს და ასამკეცებს იმითი, რომ ითხოვს პირველს წელიწადსვე რუსულის წერა-კითხვის სწავლებასაც. ცნობილია, რომ დიდიც კი ორს სიძნელეს ერთსა და იმავე დროს ადვილად ვერა სძლევს ხოლმე; მით უმეტეს ვერ აიტანს ამ ორს სიძნელეს პატარა ბავშვი, ახლად მოქცეული სკოლის სფეროში. აი რის გამო პედაგოგია კატეგორიულად ითხოვს: ბავშვს ერთს ხანაში საქმე უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთს სიძნელესთანაო. რუსიფიკატორი პოლიტიკანებიც კი მცირეოდენს ანგარიშს უწევდნენ ამ მცნებასა და რუსულს წიგნს აწყებინებდნენ მხოლოდ მეორე წლიდან. ჩვენებურმა სასულიერო მამებმა კი თავისს სასულიერო ნორჩ შვილებს ბევრად მეტი სიძნელე აჰკიდეს იმითი, რომ მოახვიეს მათ თავზე რუსულის წერა-კითხვის შესწავლაც პირველსავე წელიწადსა. ამ ანტიპედაგოგიურს ცვლილებას შედეგად აუცილებლივ მოჰყვება ბავშვების გონების დასუსტება, დაჩაგვრა, დაბნევა. რუსული ენა და წიგნი დიდად დააბრკოლებს ქართულს ენას და წიგნსა და თითონაც ცოტაოდნადაც ვერ იქნება შეთვისებული. საწყალმა ბავშვებმა უნდა ერთსა და იმავე დროს სდიონ ორ კურდღელსა და ხედავდნენ, რომ ორივე ხელიდან მისდით. ერთი სიტყვით, ეს ცვლილება მრავალ-მხრივანს ზიანს მოუტანს ბავშვებსა და მათს **გაუგუნურებას** ძლიერ შეუწყობს ხელსა. ხოლო ქუთაისის [illegible] მამებმა ჩემზე უკედ იციან, რომ მაცხოვარი დიდის სასჯელის ღირსად სთვლის იმას, ვინც თავისს მოყვასს უგუნურს უწოდებს. რამდენად მეტი სასჯელი მოგველის ჩვენ იმის გამო, რომ მრავალ-რიცხოვანს კრებულს ბავშვებისას გაუგუნურების გზაზე ვაყენებთ. მაცხოვარმა შეიძლება სხვა შეცოდებანი შეგვინდოს; მაგრამ გაუგუნურებას ბავშვებისას, რომლებიც მას ისე უყვარდა, არას დროს არ გვაპატიებს.

სავალალო უფრო ის არის, რომ ეს დიდი ვნება იმერეთით არ განისაზღვრება. ანტიპედაგოგიური სენი ადვილად გადალახავს ხოლმე ჩვენს „ბედნიერს“ ქვეყანაში თავისს საზღვრებსა და ხოლერასავით ედება ირგვლივ. ეჭვს გარეშეა, სამწუხაროდ, რომ იმერეთიდან ხსენებულს სენს გაავრცელებენ სამეგრელოშიაც, გურიაშიც და სხვა კუთხეებშიაც დასავლეთის და აღმოსავლეთის საქართველოისა. ბოროტება უფრო შორს წავა. სადირექციო სფეროშიაც უსათუოდ ამოჩნდებიან ულტრა-პოლიტიკანები, რომლებიც მარჯვედ ისარგებლებენ იმერეთის საბჭოს მაგალითით და იმავე სენს დააბუდებენ სადირექციო სკოლებშიაც. მაშინ მთელის საქართველოს ბავშთა კრებული დამახინჯების და გაუგუნურების მსხვერპლად შეიქმნება.

ეს ყოვლად უკუღმართი გადაწყვეტილება მიუღიათ და გაუგზავნიათ სისრულეში მოსაყვანად მიმდინარე წლის დამდეგში, თებერვლის პირველს რიცხვებში. მარტში კი დაიბადა ქუთათური გაზეთი „კოლხიდა“. მთელის რვა თვის განმავლობაში ეს ეროვნული ორგანო სდუმდა და სდუმს ამ ფრიად სამწუხარო დეფექტის შესახებ. ამ უცნაურის სიჩუმის გამო დღემდის აღმოსავლეთის საქართველოში ამისი არავინ არაფერი იცოდა. არ ვიცოდი არც მე იმ დღემდის, ვიდრე მომივიდოდა მასწავლებელთა ჯგუფიდან წერილი და კოპიო გადაწყვეტილებისა. „კოლხიდა“ მოვალე იყო დაუყოვნებლივ გამოექვეყნებინა ეს უკანონობა, გაემართა ღაღადისი მის წინააღმდეგ და საქმე წაღმა დაეტრიალებინა ადრიანად, იმავ თავით. სიჩუმე ამისთანა შემთხვევაში მოღალატეობას უდრის.

ქვის გული უნდა ჰქონდეს ქართველსა, რომ ამ სამწუხარო ამბავმა დიდად არ დაალონოს. ამ მწუხარებას აძლიერებს ერთი გარემოებაც. ქართველის სამღვდელოების მეზობლად მოღვაწეობს სომეხთა სამღვდელოება, რომელმაც სისტემატიურად მეცადინეობით დააკანონებინა იმისთანა სამოსწავლო გეგმა თავისი სამრევლო სკოლებისათვის, რომ არამც თუ რუსული ენა იწყება პირველი წლის შემდეგ, არამედ ყველა საგნები ისწავლება სომხურს ენაზე არა მარტო ერთ-კლასიანს სკოლებში, არამედ ორ-კლასიანებშიაც.

ეხლა რა ეშველება საქმესა?

მასწავლებლები მწერენ თავისს კერძო წერილში: ნაბრძანებმა ცვლილე-

მგზავრის შენიშვნები

(თეძმის ხეობიდან)

ათი მკათათვის საღამო იდგა. მზე თანდათან ეფარებოდა თეძმის პირად ჩაყოლებულ მაღალ სერს. ბარის ხეობას ბინდი ეფინებოდა. სამხრეთიდან მოჰბეროდა მთის სიო და ერთა-წმინდის ისედაც გრილსა და საამო საღამოს მეტ სასიამოვნოდა ჰხდიდა. ის დრო იყო, როცა ყველა მუშა, საქონელი თუ ფრინველი, თავის ბუნაგისაკენ მიისწრაფის ხოლმე ყივილ-ხივილით და სოფელის გამოცოცხლება ეტყობოდა...

ახალი დაბრუნებულები ვიყავით სოფლის მშვენიერ მიდამოებიდან მე და ჩემი თანამგზავრი ადგილობრივი მასწავლებელი, ვისხედით კალოს პირზე და ვისვენებდით. თანა გვქონდა ვაჟა-ფშაველას თხზულება, და ჩემი მეგობარი „ირაკლის სიზმარს“ კითხულობდა.

ცხენის ფეხის ხმა შემოგვესმა: ზევიდან მთიული მოდიოდა. მოგვიახლოვდა თუ არა, შეაყენა ცხენი და ჩამოხტა.

— „ცოტას დავისვენებ და ქაღალდის პატიოსან სიტყოს მენაც გავიგონებ“-ო, მოგვესალმა, ცხენი ტივის ხის საცხვირში ამოაბა და თითონ გვერდით მოგვიჯდა. მეგობარმა თავიდან დაიწყო კითხვა. მთიული სმენად გადაიქცა და ზოგიერთი ადგილების მიხედვით ხან სიამოვნებით იღიმებოდა და ხან ჰმუნვით შეიკრავდა შუბლს. ხევსურის შეკითხვამ ირაკლისადმი „ჩვენც ხომ იქ არ ვიყავით, როცა ჯარს უძახდი და ისკი უძრავად იდგაო“, ვეღარ მოათმენინა მთიულს და უკანასკნელმა ხელი-ხელს შემოკვრით სთქვა:

— „ჰა, ბეჩავ, ბიჭებო! თქვენ კი არა ყოფილხართ ლომ გული! არამი თქვენ მტერს, ალალი მოყვარეს“-ო.

გათავდა კითხვა.

ძალიან მაინტერესებდა მთიულის წარმოდგენა თვით ირაკლის სიზმარზე და შესაფერისი კითხვა დაუსვი, რაზედაც მან მიპასუხა:

— ირაკლის სიზმარი დიდი ხანია ამხდარია ჩვენ თავს... ცეცხლი იმ თავითვე გვიკიდია და ლამის არის ახლა გავნაცრდეთ-ღა, შენი ჭირიმე! მა ქაღალდის სიტყო ისე გამოდის, ვითომ თავისუფლება მოგვესპო და ხალხი დატყვევდით. აზრშით აგრე მოდის; მაგრამ დღეს უფრო მეტი არ არის? ხალხიც დატყვევეს და ბუნებაც დაგვიტყვევეს. აი, რაც ემა მთიებს არა ხედავ,—გამიშვირა ხელი სამხრეთისაკენ,—სულ ბანკებშია დაგირავებული. ასე ამბობენ, თუ ბანკებს დარჩათ, უცხო ტომს ჩამოგიზიარებენო და მაშინ გვეცხოვრება-ღა?“ აქ მწარედ ამოიოხრა მთიულმა და შესწყვიტა ლაპარაკი, ცოტა სიჩუმის შემდეგ მოგვიბრუნდა და გვკითხა:

— „ეგ ლექსი ბაჩანას ან ვაჟას ნათქომი ხომ არ არის? მთიულური ენა მეცნობის ძალიან. ისენი მაინც სუ ჩვენ მთიულ ხალხზე ლექსობენო“.

გაკვირვებულმა პირდაპირ ვერ ვუპასუხე და ჯერ ვკითხე, განა კითხვაც იცი და ან იმათი ნაწერი რაიმე გიკითხნია-მეთქი. მიპასუხა:

— მართალია, გენაცვა, მთიულებს ტყის ნადირებს გვეძახიან, მაგრამ ქაღალდის ორიოდე ასო ჩვენაც გაგვეგების. როგორ არა, მიკითხნია. აი „ბახტრიონიც“ ჩვენი ენით არ არის დაწერილი“-ო და ხელი უბისაკენ წაიღო, საიდანაც ნაწარმოების ნაფლეთი ფურცლები ამოიღო და გადმომცა. კითხვაზე პასუხი მივეცი და გავუბი ლაპარაკი. აღმოჩნდა, რომ მას არამც თუ მარტო „ვაჟა“ *) და ბაჩანა, არამედ ალ. ყაზბეგი, თითქმის სულ მთლად, აკ. წერეთლის ზოგიერთი ნაწარმოები და „ვეფხის ტყაოსანი“-ც კი უკითხნია. „ვეფხვის ტყაოსანი“ საიდანაც დავუსახელე სულ ზეპირად მომიყვა ბეჭდური ვერსიით. ბევრი ვისაუბრეთ აგრეთვე ხალხურ ლექსებსა და მოლექსეების შესახებ და მაშინ გავიგე, რომ ს. გოგოთში სცხოვრობდა 125 წლის მოხუცი მკვდა მიგრიაული, რომელსაც მთაში იცნობდნენ, როგორც ფანდურზე მოლექსეს.

— „ძალიანს ლექსობს უწინდელ ვაჟ-კაცობაზე“-ო,—ამ სიტყვებით გამითავა საუბარი მთიულმა.

კარგა ღამე იყო, როცა გავშორდით ერთმანეთს. წახალისებულმა ამ საამო შეხვედრით გადავწყვიტე გოგოთში წასვლა მოხუც მიგრიაულთან. კეთილმა შემთხვევამაც არ დამაყოვნა და ჩქარა მანგლისისაკენ მიმავალი მგზავრებიც ვიპოვე, და ერთად გავედით ერთა-წმინდიდან 14 მკათათვეს.

ეხლა მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ცოტას ერთა-წმინდის მიდამოებში შესანიშნავ ადგილებზე. სოფლიდან ერთი ვერსის მანძილზე, სამხრეთისაკენ, გხვდებათ პატარა ეკლესია წმ. თევდორესი, რომლის მიდამოს ეწოდება ცუცუბანი, სადაც უწინ, როგორც ამას ნასახლარები გვიჩვენებენ, პატარა სოფელიც ყოფილა. ცუცუბნიდან აღმოსავლეთისაკენ საურმე გზას გაჰყვებით ცხირეთში. აქაც ამჩნევთ ნასოფლარს, სადაც სამას წლის წინად ყოფილა ს. ცხირეთი, სააგარაკო ადგილი მეფე დუარსაბისა, რომელსაც იხსენიებს „საქართველოს გეოგრაფიაში“ ვახუშტი ბატონიშვილი. ნასოფლარის თავით არის პატარა ეკლესია, რომლის დარღვეულ კედლებზე მკრთალად ემჩნევა ძველი მხატვრობის კვალი. ეკლესიას და მის მიდამოს ეწოდება ურბიხანი. ერთა-წმინდელების შორის ასეთი გადმოცემაა: ერთხელ ამ ხეობის ბარის სოფლებში დიდი ჭირი გაჩენილა **) და ხალხი ტყეში გახიზნულა. მაშინ დაუარსებიათ ს. ს. ცხირეთი და ცუცუბანი. მთელი მინდორი ორ ვერსის სიგრძეზე ერთა-წმინდიდან ცხირეთამდის დაფარული ყოფილა გაუვალის ტყით, საცა აუარებელი ირემი, შველი და გარეული ღორი სცოდნია. შემდეგ, როცა ჭირიანობას გაუვლია, ხალხი ისევ აყრილა ცხირეთიდან და ცუცუბნიდან და ბევრი მათგანი დასახლებულა თვით ერთა-წმინდაში. მაგ., ცუცუბანიდან აყრილან თუხარლიანი და ჯერ ერთა-წმინდაში დასახლებულან; აქედან კიდევ გადასახლებულან თეძმის ხევზე. მთელი სათუხარლო მამული დღეს სომეხის ხელშია.

ცხირეთს ზევიდან დაჰყურებს ზემო-ციხე დღევანდელი სახელ-წოდებით, მხოლოდ ისტორიულად იგივე ცხირეთის ციხე, რომელიც აღმართულია ცხირეთის ხევის პირად ერთ სალის კლდეზე და უკან, ე. ი. სამხრეთისაკენ დაგდებული აქვს სატალაოს მთის ფერდობზე გრძელი ველი. ციხეს შიგნით ბევრგან ამჩნევთ ჩაწოლილს, ჩავარდნილს ადგილებს კედლების ნანგრევებით. აქ ყოფილა დარბაზები, საცა მეფე ლუარსაბსა და მის დიდებულებს გიორგი სააკაძეს და სხვათ უცხოვრიათ და ვინ იცის რა აუარებელი ძვირფასი ნაშთი არ არის დამარხული ნანგრევების ძირზე. თანამგზავრებმა ორი შემთხვევა გადმომცეს ციხის არე-მარეში ნაპოვნ განძების შესახებ. პირველი:—ციხეს შიგნით ერთ გლეხს თიბვის დროს „სათიბელა“ წამოუკრავს ქილისათვის და ქილა ქართული ვერცხლის ფულით ყოფილა სავსე. მეორეთ: ვიღაც მეტეხელ გლეხს მიჰქონებია ნალო ***) ციხეს ახლო დაქანებულ გზაზე ნალოს ცხვირი წაუკრავს მიწაში და რაღასაც მაგრა მოჰკიდებია. მისულა გლეხი და ცულით გადაუთხრია ადგილი, საცა მას ზედი-ზედ დალაგებული სპილენძის ფირფიტები, თუ ზოდები აღმოეჩინა. (ეს ფაქტები შემდეგ სხვებმაც შეამოწმეს).

ცხირეთის ხევი, ზემო-ციხე და მისი არე-მარე დიდი ისტორიული ადგილებია. აქ გადასწყდა ქართლის ბედი 1609 წელს, აქ იყო, რომ შეუტია გიორგი სააკაძემ მღვდლის თევდორე თავდადებულის მიერ შემოტყუებულ

---

*) მთიულების მეტი წილი ვაჟა-ფშაველას მარტო «ვაჟა»-დ იხსენიებს. ი. კ.

**) ეს წერილი ჯერ დაბეჭდილი არა მქონდა, როდესაც წავიკითხე «სახ. გაზ.» მე-402-ე ნომერში ბ. ჯანაშვილის „წერილი რედაქციის მიმართ“, სადაც მას მოჰყავს ჩემ მიერ ჩატანილ ხუცური ხელნაწერიდან ამოღებული ქრონიკონი; «ქვ-ს 1566-ს ერთა-წმინდას დიდი ჭირი გაჩნდა». ი. კარგარეთელი.

***) ნალოს უძახიან უღელი ხარის ხათრევ მეშას ანუ ფიჩხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ დაჰქვეითა ჩვენი სკოლები, ბავშვებს სწავლის ხალისი შეუმცირდათ, დაბნეულობა ეტყობათ, ყურადღების დამყარება საგანზე ეძნელებათ, გონება უსუსურდებათ, რადგანაც ვერ ერევიან გართულებულის შრომის სიძნელესა, და სხვ. საეპარქიო საბჭოს შეუძლიან პირუთვნელი რევიზიით შეამოწმოს ეს უნუგეშო შედეგი ცვლილებისა, გააუქმოს ეს ცვლილება და აღადგინოს კანონიერი სამოსწავლო გეგმა. თვით ბიუროკრატიას არა ერთი თავისი გადაწყვეტილება გაუუქმებია ხალხის განათლების სფეროში, როცა დარწმუნებულა მის უვარგისობაში. ამის მაგალითებს ამოიკითხავთ ჩემს უკანასკნელს წერილშიც „კოლხიდის“ წინააღმდეგ.

იმედი მაქვს, რომ ამ დეფექტის აღნიშვნა, რომელსაც მოითხოვდა დიდი საქვეყნო საქმე, არ გამოიწვევს საბჭოს წევრების მხრივ ჩემ წინააღმდეგ სიბრაზეს და მტრობასა, რომლითაც გაიმსჭვალა „კოლხიდის“ რედაქცია იმის გამო, რომ მისივე გაზეთის სვეტებზე აღვნიშნე სამიოდე მისი ანტიქართული დეფექტი.

იაკობ გოგებაშვილი.

მრევლის საარჩევნო უფლების გამო

(წერილი რედაქციის მიმართ).

გუშინდელი თქვენის გაზეთის მოწინავე წერილის—„მრევლის საარჩევნო უფლება“-ში—ავტორი, სხვათა შორის, სწერს: „ხშირად საარჩევნო ინსტიტუტის მოწინააღმდეგეთ ის მოსაზრება მოჰყავთ ხოლმე, რომ იმის წყალობით ბევრი გაუნათლებელი და შეუფერებელი მღვდელი აურჩევია სოფელსაო. თუ ეს მართალია, საჭიროა არა თვით ინსტიტუტის გაუქმება, არამედ მოწესრიგება საარჩევნო სისტემისა“.

ამ სამართლიან და ყოვლად საფუძვლიან შენიშვნის გამო გამახსენდა ის, თუ რას ითხოვდა სამღვდელოება და რა გვარი საარჩევნო ინსტიტუტი მიანიჭეს. ამას წინად „სახალხო გაზეთის 436 ნომერ'ში მოთავსებული იყო ახლის წერილი ამ სათაურით: „საეკლესიო საარჩევნო უფლება“. ახლი თავის წერილში იმ აზრს გამოსთქვამს, ვითომც 1906 წელს „12—14 ოქტომბერს იმ დროებით უჩინარის და ეხლესაც გამოურკვეველ ინიციატივით მოწვეულ'მა დელეგატების ნახევრად ოფიციალურმა კრებამ, რომელიც სასინოდო კანტორის შენობაში მოხდა განსვენებულის პეტრე ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით“ საეკლესიო საარჩევნო უფლება ითხოვა იმ სახით, რა სახითაც უწმინდესმა სინოდმა ქართველ სამღვდელოებას მიანიჭა, თანახმად განსვენებულის ეგზარხოსის ნიკონის სურვილისა.

ვინც ხსენებულ დელეგატთა დადგენილებას ცოტაოდნად მაინც გადაათვალიერებს, ის მაშინვე დარწმუნდება, რომ ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოს ეგზარხოსთან ადმინისტრატიული ურთიერთობა შემდეგ პირობით აღადგინა: სამღვდელოება თვის შორის ირჩევს ბლაღოჩინებს და საბლაღოჩინო საბჭოებს, რომელთაც უფლება უნდა მისცემოდათ სამღვდელო-საეკლესიო მსახურთა განთავისუფლებულ ადგილზე მრევლისათვის შესაფერი პირნი დაესახელებინათ, მხოლოდ ამის შემდეგ საეპარქიო მთავრობას წარედგინებოდა კანდიდატი დასამტკიცებლად მრევლის მიერ.

ამის დასამტკიცებლად პატივცემულ რედაქციას ვურჩევ პირს ხსენებულ დელეგატთა დადგენილებისას.

ამიტომ ის სიტყვები ახლისა, ვითომც „მხოლოდ და მხოლოდ 1906 წლის შემოდგომის დელეგატები უნდა წამოსკუპდნენ დამნაშავის სკამზე და მათ უნდა გასცენ პასუხი აწმყოსა და მომავალსაო, ყოველს სამართლიანობას მოკლებულია.

X.

ვლადივასტოკის ქართველთა ავ-კარგი

ერთ წელზე მეტი იქნება, რაც ქ. ვლადივასტოკის ქართველებს აზრად აქვთ დაარსონ ქართველთა ურთი-ერთ შორის დამხმარებელი საზოგადოება. მაგრამ დამოუკიდებელ მიზე'ზებისა გამო დღევანდლამდე სისრულეში ვერ მოუყვანიათ. საზოგადოების დედა აზრი არის ურთი-ერთ შორის ზნეობრივი და ქონებრივი დახმარება, რომ მით ბოლო მოეღოს იმ სახელის გატეხას, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებაში გავრცელებული ქართველებზე რამდენიმე არა კეთილსაიმედო პირთა მეოხებით.

უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად ცუდ მდგომარეობა'შია ვლადივასტოკის ქართველთა უმრავლესობა: დაშორებულთ სამშობლოს, ყოველ ნუგეშს მოკლებულთ, სამუშაოს მაძებართ, მეტად უძნელდებათ ცხოვრების ჰაპან-წყვეტა. ასეთი პირობებისაგან თავის დახწევას მხოლოდ საზოგადოების შეერთებული ძალა შესძლებს.

23 ოქტომბერს სახალხო სახლში, მთავრობის ნებართვით, შესდგა პირველი დამფუძნებელი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 50 კაცი. კრება გაიხსნა სრულ 12 საათზე და ამორჩეულ იქმნა თავმჯდომარე, რომელმაც გააცნო საზოგადოებას კრების მნიშვნელობა, დაახასიათა აღმოსავლეთში ქართველების მდგომარეობა და დაასაბუთა აუცილებელი საჭიროება ურთიერთ შორის დამხმარებელი საზოგადოების დაარსებისა. შეეკითხა კრებას,—სურს თუ არა ასეთი საზოგადოების დაარსება? კრებამ ერთხმად სრული სურვილი გამოაცხადა, რის შემდეგ წესდების შემუშავებას შეუდგნენ. დიდის ხნის მსჯელობის შემდეგ კრებამ შეიმუშავა წესდება 71 §-საგან შემდგარი, რის შემდეგ კრება შეუდგა აღმასრულებელ კომისიის არჩევნებს—არჩეულ იქმნა ხუთი პირი: მღვ. ვლ. იმერლიშვილი, დაჩანოვი, ჩიგოგიძე, მურმანიძე და დოლიძე. ამათ დაავალა კრებამ საზოგადოების ყოველგვარ საქმის წარმოება და აგრეთვე მთავრობის მხრივ წესდების დამტკიცებაზე ზრუნვაც. კრება დაიხურა ხუთ საათზე.

კრების მხრივ არჩეული აღმასრულებელი კომისია უკვე შეუდგა ნაკისრ საქმის განხორციელებას. ეხლა მხოლოდ ნებართვაზედაა საქმე დარჩენილი.

გ. ჩიგოგიძე.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

17 ნოემბერი.

ვაშინგტონი. ამერიკამ ჩინეთის მთავრობას აცნობა, თუ გსურთ 2500 კაცს გამოვგზავნით გზებისა და უცხოელთა დასაცავად, როგორც ბოქსერთა აჯანყების დროს მოვიქეცითო.

გირინი. ვაჭრებმა და სხვა მოქალაქეებმა ხუნხუზებისაგან თავდაცვის კომიტეტი დაარსეს. ხუნხუზებთან ბრძოლისთვის ქალაქის ხარჯით მილიცია უნდა შეადგინონ ადმინისტრაცია კომიტეტს ფულით ეხმარება.

ქუანჩენძი. იაპონელთა ცნობით, ხუნხუზების მეთაური, ამას წინად ფუჯოუსთან რომ იყო, რევოლუციონერთა პირველ არტილერიის უფროსად დაინიშნა და იაპონელთა ელჩებს გამოუცხადა, ნეიტრალიტეტი დაიცავითო.

ვაშინგტონი. მთავრობამ გამოაცხადა, ამერიკას ჯარის გაგზავნა ჩინეთში კი არა ჰსურს, არამედ პეკინის უცხოელთა კოლეგიაშიო.

შანხაი. აქ მშვიდობაა. ნანკინიდან არაფერი ამბავი არ მოსულა. ჰფიქრობენ, დროებითი ზავი თუ ჩამოაგდესო.

პეკინი. საკონსტიტუციო პალატის საიდუმლო სხდომამ სესხის საკითხი გადასწყვიტა. მთავრობის ჯარის მიერ აღებულ ქალაქ სუნიანში რევოლუციონერებმა სახელოსნოების ყველა მანქანა წაახდინეს. მთავრობის ჯარი, ქალაქის აღების შემდეგ, მშვიდობიან მცხოვრებლებს ესროდა. ლიანცზიჩაომ და ლიანდუნიალმა პეკინის მთავრობის ახალ აბინეთში შესვლა არ მოინდომეს.

გაზეთებიდან.

პეტერბურგი

ჩინეთიდან ხმა მოდის, დინასტიის საქმე ძალიან ცუდად არისო. იუანშიკაი იმპერატორის გვარეულობას პეკინიდან წასვლას ურჩევს. ბატონიშვილებს პეკინის დატოვება ტახტიდან გადადგომის ნიშნად მიაჩნიათ და ამბობენ, ყველა დაიცინა თავი უნდა მოვიკლათო.

ჩინელთა „მარსელიეზა“.

ჩინელ რევოლუციონერთა ჯარი ბრძოლის დროს ერთს ლექსს მღერის, რასაც შეიძლება ჩინელთა მარსელიოზა დავარქვათ. თავისუფალი თარგმანი ამ სიმღერის დაახლოვებით შემდეგი იქნება:

1. ოჰ, თავისუფლებავ, შენ ღვთის წყალობა ხარ! თუ შენთან მშვიდობაც არის, კაცობრიობას ათასნაირ სასწაულს მიანიჭებ. ძლიერი ხარ, ვითა ფიქრი, დიდი ხარ, ვითა მდევი, თავი ცასა გაქვს მიბჯენილი, ქარისაგან გატაცებულ ღრუბელთან ერთად მიჰქრი. მოგვევლინე, ჩვენ, მიწიერთ და გვბატონობდე! განანათლე ჩვენის მონობის სიბნელე შენის ღვთიურის სხივით!

2. ევროპავ, თეთრთა სამეფოვ, ჭეშმარიტად, ღვთის შვილი ხარ. ღვინო და პური ყველაფერი საკმაოდ გაქვს. მე კი გლახაკი მივისწრაფი თავისუფლებისაკენ, ვითა შეყვარებული ვაჟი მიილტვის სატრფოსაკენ. თავისუფლებავ—ჩემის დღის ფიქრო და ღამის ოცნებავ! და მე კი ჩემის სამშობლოის სივაგლახეს მარადის უნდა ვუყურებდე და თავისუფლება მელტვოდეს. ვაი, ჯერ კიდევ მონანი ვართ!

3. ქარი ზუზუნებს, ნამი ბზინავს ყვავილნი სურნელებას ჰფენენ მიდამოს და კაცს თავი ქვეყნის მეფედ მიაჩნია. მაგრამ, ვაი, ხალხს ისევ ბორკილი ადევს. ქედი უნდა მოუხაროს პეკინის მსუნაგ მგელს, ჩვენს იმპერატორს. ოჰ, გაჰქრა თავისუფლება! და ჯერ დიდებული აზია უდაბნოდ არის ქცეული!

4. ეხლა კი მზის ამოსვლის მოლოდინში ახალ ცხოვრების შექმნას ძმურად შევუდგეთ. ძალა მოვიკრიფოთ და ქება ვუძღვნათ თვალუწვდენელ სამშობლოს. დაე საერთო კვნესა ამოხდეს ყოველ გულს და კვანგის მწვერვალამდე გაისმას. ნაპოლეონო და ვაშინგტონო, თავისუფლების ერთგულნო შვილნო. ჩვენშიაც გაჩნდით! წინაპარნო ქინ უნო წინ გაგვიძეხ! თავისუფლების გენიალებო მიწას დაეშვით, გვიშველეთ რამე!

ხუნხატსენი.

უჩანფუში დროებითი მთავრობა დაარსდა. პრეზიდენტად აირჩიეს ექიმი სუნიატსენი, განთქმული რევოლუციონერი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ—ლიუანხუნი.

იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

7 ნოემბერი.

სალონიკი. სამხედრო წრეებში იტალიელების იერიშს აუცილებლად მოელიან. აფიცერთა ოჯახიპი ქალაქიდან გადის. ამბობენ, იტალიის ფლოტმა ლემნოსს ზარბაზანი დაუშინაო. ხალხი შეშინებულია.

პერიმი. იტალიის სამხედრო გემი შეიხ-საიდს ზარბაზანს უშენს.

ტრიპოლი. მტერი იტალიელების მუშაობასა და პოზიციების გამაგრებას ხელს უშლის, არაბთა რაზმმა დაბრუნებულ ოსმალთა რაზმს სროლა დაუწყო, რადგან მტერი ეგონა. იტალიის მზვერავმა გემმა საბერძნეთის კონტრაბანდიანი გემი „სონიკოლა“ დაატუსაღა და ბენგაზს წაიყვანა.

იტალიურ და უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებს გენერალმა კანევამ ნება მისცა გაზეთებს აცნობონ ის სისასტიკე, რაც ოსმალებმა იტალიელთა მიმართ ჩაიდინესო.

გაზეთებიდან.

პეტერბურგი.

დიპლომატთა წრეში ლაპარაკობენ, რუსეთის ნოტამ შეუძლებლად გახადა იტალიის მიერ დარდანელის გარემოცვაო.

ბერლინი.

„ფრ. ცაიტ.“-ის კორესპონდენტმა ტრიპოლი მიატოვა და თავის გაზეთს დეპეშით აცნობა, შეუძლებლად მიაჩნია მიუკერძოებელ ცნობების გამოგზავნა, რადგან იტალია ძალიან მავიწროვებსო.

რომი.

ოსმალთა ჯარის მთავარი ბანაკი, როგორც ამბობენ, გარიანშია, სადაც ბევრი არაბია და სურსათიც ბლომადა აქვთ. ოსმალებსა ჰსურთ იტალიელებს აქ გაუმართონ დიდი ბრძოლა.

ლონდონი.

მალტიდან იუწყებიან, დიდ გამარჯვების ამბავს ეჭვით უნდა მოეკიდოთ. ოსმალებმა იცოდნენ იტალიელების მათზე დაცემის განზრახვა და წინასწარი მომზადება ეტყობოდათ. ოსმალთა ჯარმა შუაგულს მიაშურა, გზაში კი პატარ-პატარა რაზმები დასტოვა, რომელთაც ბრძოლით საქმე გაუჭირეს იტალიელებსა. იტალიელებმა მხოლოდ ძველი პოზიციები დაიბრუნეს და ერთი ვერსით წინ წაიწიეს. სარწმუნო არ არის, ოსმალთა ზარალის ამბავი, ვინაიდან ბრძოლაში ჯარის უმთავრესს რაზმებს მონაწილეობა არ მიუღია.

სპარსეთის არეულობა

დეპეშები

17 ნოემბერი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში გრეიმ განაცხადა, რუსეთმა გვაცნობა, ჩვენგან მიღებულ ზომებს დროებითი ხასიათი აქვსო. გრეის შუსტერის ენერგია და კეთილი განზრახვანი სწამს, მაგრამ მასგან ზოგიერთ თანამდებობაზე მოხელეების დანიშვნამ მდგომარეობა გაამწვავა. ინგლისიც ვერ მიემხრობოდა შუსტერსა, რადგან იგი მის რჩევას არ ემორჩილებოდა. ინგლისისა და რუსეთის დაუკითხავად მოხელეებად უცხოელთა დანიშვნა ყოველთვის უთანხმოებას გამოიწვევს და სპარსეთის დამოუკიდებლობასაც საფრთხეს მოუმზადებს. ამნაირ ინციდენტის გამეორება რუსეთ-ინგლისის იმ ხელშეკრულებას დაარღვევს, რომლის მსურველიცაა ორივე სახელმწიფო. დარწმუნებული ვარ, რუსეთი და ინგლისი შესაფერ გზას იპოვნიანო, დაამთავრა გრეიმ.

დილონმა იკითხა: ინგლისის სახელითაც ხომ არ გაუგზავნა რუსეთმა სპარსეთს ულტიმატუმიო? გრეიმ უპასუხა, მაგისი ჯერ არაფერი ვიციო.

ბაქო. სარდარ-ასადი მოვიდა. მას თავრიზის გუბერნატორი ახლდა.

გაზეთებიდან.

ლონდონი.

გაზეთები იუწყებიან, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას განზრახვა აქვს შუსტერ მორგანს მხარი დაუჭიროს და საამისო წინადადებასაც მისცემს რუსეთის მთავრობასაო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ.

ანტვერპენი. ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა გათავდა.

სტამბოლი. ბატონიშვილი ზიაედინი, იმ სახლის მეთაური, რომელიც პორტ-საიდში ინგლისის მეფის სახლობას დახვდა, სტამბოლს დაბრუნდა.

ლონდონი. გუშინ ასკვიტს საქველმოქმედო საზოგადოებაში სიტყვა უნდა წარმოეთქვა, მაგრამ სუფრაჟისტებმა ყვირილით და ხმაურობით ლაპარაკი არ დაცალდეს. ასკვიტი სიტყვის წარმოუთქმელად წავიდა.

პარიზი. პალატას დიდად ჰსურს, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას

თათარახან'ი და ძუსრი გაავლო მის ურიცხვ ჯარს. საგულისხმოა, აღვნიშნოთ შემდეგი: ზემოთ აღწერილ ნასოფლარში დღესაც ამოდის ცივი კამკამა წყარო, რომელსაც ჰქვიან უსტარაული. მის ძირზე მიწიდან ამოსჩანს აკლდამას ქვა. საერთოდ უსტარაულისა და ამ ქვის შესახებ სხვა და სხვა ლეგენდარული ხმებია გავრცელებული ხალხში, რომელთა შორის ერთი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ უსტარაულის ძირზე აკლდამაა, სადაც ვითომ თევდორე თავ დადებული ჰმარხია.

ზემო-ციხიდან ვიწრო ბილიკით გავედით ცხირეთის ხევ გაღმა, შემოუარეთ ირგვლივ ერთ მაღალ რგვალ გორას და ავედით ს. ცხავერში, სადაც ოსები მოსახლეობენ. ოდესღაც ცხავერი თავ. თარხნიშვილების საგვარეულო მამული ყოფილა, რომელიც შემდეგ მგონი ბანკიდან შეუძენია ერთ გერმანელს. უკანასკნელს წინადადება მიუცია ცხავერელებისათვის, შეესყიდათ მამული 19000 მანეთად. ცხავერელებს საგლეხო ბანკისათვის მიუმართავთ; ბანკსაც თავის აგენტი გაუგზავნია; ამას დაუთვალიერებია მამული, მაგრამ არ უცვნია ზემოხსენებულ ფასის ღირებულად. რა გზას დაადგნენ ამ ჟამად, არ იციან საცოდავმა ცხავერელებმა.4).

ცხავერის თავს წამოგვეწივნენ ს. ახალ-ქალაქიდან მომავალი „ჩოდრები“, რომელთაც ხილი მიჰქონდათ მანგლისში და ერთად მოგვიხდა სიარული ვიდრე გოსტიბის ტყემდე. აქ დაგვიღამდა და, ფრიალო აღმართებზე სიარულით დაქანცულს, დასვენებაც გვეჭირებოდა. ბიჭებმა გამოძებნეს ტყის ფერდობზე პატარა მყუდრო ველი; სწრაფად ცეცხლიც დააგუგუნეს და სიამოვნებით შემოვუწყეთ გარშემო...

მთის ცივ ჰავას აღრე გამოვეღვიძებინე. ცეცხლი ჩანელებულიყო და დანაცრებული ნაღვერდალი ნიავის ნელს რხევაზე ოდნავ ბჟუტავდა... ღამის წყვდიადით მოცულ არე-მარეს მაღლით დაჰკრთოდა მთრთოლვარე ვარსკვლავებით მოჭედილი ცისა კამარა... ირგვლივ სიჩუმე იყო და მხოლოდ საიდგანღაც მოისმოდა ღამის ფხიზელ დარაჯის ნაწყვეტ-ნაწყვეტი კავ-კავი და გაყუჩებულ ტყე-ღრეში იფანტებოდა. გამოძახილი შორს მიდამოებში სწყდებოდა. იყო ასე უცვლელად კაი-ხანს წყნარი ბუნების სურათი. მაგრამ ამოსცურდა თუ არა განთიადის წინამორბედი ცისკარი, მყისვე სურათიც შეიცვალა. რიჟრაჟმა შეითამაშა და გასტეხა ღამის წყვდიადი; შეირყა ჰაერი; წამოჰბერა დილის გამაფხიზლებელმა სიომ ხის კენწეროებს და მათაც სიოს სალამი მძიმე რხევით გადასცეს ფოთლებს; ჩქარა მთელ ტყეში გაისმა გაბმითი შრიალი და აქა-იქ ფრინველნიც ახმაურდნენ; ტყიდან გამოჭრილი სიო გაეკრა ველს და ხამი5) აბიბინა; ბუნება თან და თან იღვიძებდა.

ხეზე იდაყვ მიყუდებული ვიდექი და ხარბად ვეწაფებოდი გამაბრუებელ სურნელოვნებით აღსავსე მთის ჰაერს.

რა მომხიბლავი ყოფილა მთაში განთიადი! რამდენ ფიქრსა და გრძნობას იწვევს განთიადზე ფერად ბუნების გამოფხიზლება!

გამახსენდა მთიულის სიტყვები. „ხალხიც დავტყვევდით და ბუნებაც დაგვიტყვევეს“ ო. დიახ! მართლაცა, და მით უფრო საგრძნობელია და ბევრის მთქმელი ყოველ ქართველის გულისათვის „ტყე-ბუნების“ იდუმალი ხმა: დილის სიოს ნაზი ჩურჩული...

ჩქარა თანამგზავრებმაც გამოიღვიძეს და შუშვენით წამოიშალნენ.

აქედან ჩვენი გზა იყრებოდა. მე გამომყვა ერთი ერთაწმინდელთაგანი, გავედით ს. კლდე-კაფნევზე და ქსილისის მთის ძირზე მივედით.

ძველთა გადმოცემით, დღევანდელ ს. კლდე-კაფნევის ადგილას ყოფილა უშველებელი კლდე, რომელიც თურმე აუქმებდა მარჯვე და მოკლე გზას შუაგულ ქართლიდან თრიალეთში ჯარის გადასაყვანად. მაგრამ თამარის ბრძანებით კლდე გაუჭრიათ, (გაუკაფნიათ) და იმ დროიდან ადგილს დარქმევია კლდე-კაფნევი. ქსილისა გაგრძელებაა თრიალეთის მთის კალთებისა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ამ სახელით ცნობილია მხოლოდ თეძმისა და კავთურის ხევების შუა. უმაღლესი მწვერვალი ქსილისის მთისა არის ელქარი, რომლის პირდაპირი გადაჭრა გვიხდებოდა, რომ მოვხვედრილიყავით მიგრიაულის ქოხებში, სადაც თითონ მგელა მიგრიაული გვეგულებოდა. მეტი მისავლელი გზა არსაით იყო და ჩვენც შევუდექით ელქარის ფრიალო ფერდობს, რომლის ნახევარწელი ხშირ ტყიანია, ზევით კი სიცივეს უბრალო ბალახიც არ გაუშვია; საერთოდ ქსილისი დაბურულის ტყით არის შემოსილი, მეტადრე ჩრდილოეთის ფერდობები. როგორც იყო ელქარს წვერზე მოვექეცით: გვინდოდა ცოტა შეგვესვენა, მაგრამ სეტყვასავით მოზუზუნე ცივმა ქარმა არ დაგვაყენა და ჩქარის ნაბიჯით დავეშვით ძირს—ხევის პირად მდებარე ქოხებისაკენ, სადაც ცოტა ხანში კიდეც მივედით.

ქოხიდან გამოგვეგება ახალგაზდა შვილიშვილი მგელა მიგრიაულისა, რომელსაც თანამგზავრმა გადასცა ჩემი ვინაობა და, ცოტა დასვენების შემდეგ, გავემართა მანგლისისაკენ.

—„პაპისი აქ არ არის, ბატარაი (პატარა) შეისვენეთ და მამრე წავიდეთ სახლოში“-ო,—ამ სიტყვებით შემიძღვა ქოხში.

მთიულის ქოხი წარმოადგენს ფიცრულის გრძელ შენობას ორის განყოფილებით: ერთში თითონ სცხოვრობენ და მეორეში ინახავენ რძეს, კარაქს, ყველს და ერბოს. კარ-მიდამო კიდევ უჭირავს საქონლის ბაკს, საქონლის საყარაულო პატარა ქოხებს და მიწურ ფურნეს. „ქოხები“ მხოლოდ დროებით საცხოვრებელი ადგილია, საზაფხულო, როცა საქონელი მთაში აუდით. ქოხში შესვლისას, ახალგაზდა მასპინძელმა საუზმეზე მიმიწვია, რომლის დროს მთიულურ ცნობისმოყვარეობით სხვა და სხვა კითხვებს მაძლევდა: სწავლაზე, სკოლებზე, წიგნებზე და სხვ. როცა წიგნებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, წამოდგა და თაეხის ბოძიდან ორი წიგნი ჩამოიღო: „ვეფხის ტყაოსანი“ და „ყავითიანი“. ამ გარემოებამ ყველა ჩემ მოლოდინს გადააჭარბა. სადღაც, ქვეყანას მოწყვეტილ ადგილს, ტყე-ღრეში მიკარგულ მთიულის ქოხში, მოველოდებოდი რომ რამე წიგნის ნასახს შევხვდებოდი?

სად გისწავლია წერა-კითხვა მეთქი?.

—სად გისწავლიდი, აბა! საქონელში, შენი ჭირიმე! ერთი ქირს—ერთმა ვინმ იცოდეს წერა-კითხვა, თორიი ისე მოედების ჩვენში რო... დაკვეხნით კი არ გეტყვი და ჩვენში ყველამ იცის თითქმის ლა კითხვაი. აი ქალებისა რა გითხრა და ბიჭებში კი ძნელადაც რომ არ კითხულობდეს. საქონელს რო დავაბინავებთ შევკროვდებით და რიგაობით ვკითხულობთ ხოლმე... ჯერ'ამ შოთასას ვკითხულობთ.

—მერე, გესმით შოთას ნაწერი?

—როგორ არ! მართალია, ძველ ქართულს ლაპარაკობს, მაგრამ მაინც გაიგების. ეხლა იმასასა ვართ, თანდალმი რო წავალი'ა ფრიდონისას ამბის გასაგებად... ჰა და ბიჭებს! ესენი კი არა ყოფილან ვაჟები!“-ო, გამითავა საუბარი მთიული'ს შვილმა.

მართალი აღმოჩნდა ჩემი მოსაუბრე. მას დაკვეხნით არ უთქვამს ჩემთვის, რომ მთიულებში წერა-კითხვა ძალიან გავრცელებული ყოფილა. ბევრი მთიული შემხვედრია, ბევრთან მქონია საუბარი სკოლის შესახებ და ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მიმიღია „ჩვენ ვის-ვახსოვართ ქვეყანაზე—ჩვენი სკოლა საქონელია“-ო და ამავე დროს ყველა მათგანს გაკვრითი წერა-კითხვა სცოდნია. მთიულებში განათლებისადმი მიდრეკილება ფრიად დიდია და დროა ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს და ასარგებლოს ეს კეთილშობილური მხარე მთიულისა. დროა ჩვენმა საზოგადოებამ მშობლიური ხელი გაუწოდოს დღეს უნუგეშოდ მყოფ მთიულს და აგრძნობინოს, რომ იგი არ არის დავიწყებული. დღეს უდიდეს საჭიროებას წარმოადგენს თეძმის ხეობის მთიულთათვის. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლა.

ამ სკოლისათვის მშვენიერი ადგილია ს. გოსტიბე, სადაც ორმოცამდე მთიულთა მცხოვრებელი კომლი იქნება.

ხტ. ი. კარგარეთელი.

(შემდეგი იქნება).

---

4) ამის შესახებ ვრცელი წერილი იყო ბ. ი. გ. კარგარეთლისა გაზ. „Закавказск. Рѣчь“-ში.

5) ხამი—უძრავი ბალახი.

დამტკიცება დეპუტატებამდე არ მიხდეს. დამტკიცების შემდეგ შეიტანენ შეკითხვას კორტეში მთავრობის თაობაზე და კადით და დე-სედგი განმარტებას მისცემენ.

ლისაბონი. ოპორტოს არეულობის მონაწილეთა საქმე ირჩევა. მათ რესპუბლიკის საწინააღმდეგო მოქმედებას აბრალებენ. მეთაურს 6 წლის ციხე და 10 წლით გაძევება გადაუწყვიტეს.

სტოკჰოლმი. ზედა პალატაში არჩეულ 87 მემარჯვენე, 51 ლიბერალი, 12 სოციალისტი.

ტულონი. ჯავშნოსან „ვოლტერის“ პატარა გემი აფეთქდა. ერთი დაიღუპა, რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა.

ბერლინი. ლითონის ნაწარმის ქარხნის მუშები ქარხნის პატრონებს ვერ შეუთანხმდნენ, პატრონებმა გადასწყვიტეს, 18 ნოემბერს 78 ათასი მუშა დაითხოვონ.

რუსეთი.

პეტერბურგი. დიდმა ყინვებმა და ქარბუქმა იმპერიის ბევრ ადგილას ტელეგრაფი გააფუჭა.

სახელმწიფო სათათბიროში საკანონმდებლო კომისიის უმცირესობამ განსაკუთრებული წინადადება შეიტანა პოლონეთის სამეფოში ხოლმის გამოყოფის თაობაზე. უმცირესობას შეუძლებლად მიაჩნია ამნაირი კანონპროექტის მიღება.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროში შეიტანენ კანონ-პროექტს, რითაც ყველა იერარქებს და იმათ, ვინც ბერობენ, აეკრძალებათ ანდერძით თავისი ქონება ვისმე დაუტოვონ. სიკვდილის შემდეგ მათი ქონება მონასტერს უნდა გადაეცეს.

სევასტოპოლი. დღეგის გემთ რამდენიმე გემს უბედურება დაემართა. ადამიანის მსხვერპლი იყო. გემთა მიმოსვლა შესწყდა.

პასუხად გ. სარგის კაკაბაძეს *)

დიდ არს ალლაჰ!.. რაღა მარტო ჩვენშია ესე მოდებული სენი თავის განდიდებისა: ვისაც კი ჟურნალ-გაზეთში ორიოდე წერილი გამოუცხვია, ან უვიცის კადნიერებით „ლექტორობა“ მოუწადინებია,—ყველას თავისი თავი ქვეყნის მხსნელად და შეუცდომელ პაპად მიაჩნია და, გინდა თუ არა, ტაში უნდა დაუკრა, ბალიშა უქსოვო და ხოტბა შეასხა. და თუ „გაკადნიერდი“ და უხეირო „ქურუმის“ მოღვაწეობაზე რამე ეჭვი გამოსთქვი,—„შეკაზმული ცხენიც“ ვერ გიშველის და ემჯობინება წინადვე დამზადებულ ანდერძით იყო აღჭურვილი..

„სახალხო გაზეთის“ მკითხველი გუშინდელ ნომერში შეხვდებოდა გ. სარგის კაკაბაძის არსებითად ჩემდამი მიმართულ საპასუხო წერილს, რომლითაც თუმცა ჩემს „რეცენზიის არსებით მხარეს ყურადღების ღირსად არა სცნობს“, მაგრამ მაინც მიპასუხებს რეცენზიის არა არსებით ნაწილზედ, ე. ი. რატომ „გავკადნიერდით“ და იმისი ლექცია ქება-დიდებით არ მოვიხსენიეთ. გ. კაკაბაძე ბრძანებს: „რეცენზენტს ჩემი ლექციის გაგება ან ვერ მოუხერხებია, ან და წამოყენებული დებულებანი სრულიად მიუჩქმალავს და გადუმახინჯებია“ უნდა მოვახსენოთ გ. კაკაბაძეს, რომ თუ მართლა ვერ მოვახერხე გაგება იმ დიდ „ბრძნული“ აზრისა, რომლითაც 18 ნოემბერს გაგვაბედნიერა, ამაში თითონვე არის დამნაშავე: რად დაავიწყდა, რომ ის თავისთანავე „მეცნიერთა“ წრეში კი არ კითხულობდა ლექციას, არამედ სახალხო სახლში, სადაც დიდი უმრავლესობა ჩემისთანა უბრალო მომაკვდავთაგან შესდგებოდა. და იმის დაწამება ხომ, ვითომც თქვენგან „წამოყენებული დებულებანი სრულებით მიმეჩქმალოს და გადამემახინჯებინოს“, არ შეგიძლიათ: მადლობა ღმერთს, მარტო მე არ ვიყავ ბედნიერი თქვენი ლექციის მოსმენით,—აუდიტორია თითქმის სავსე იყო. ვთქვათ, მე თქვენი დებულებანი და შინაარსი ლექციისა გადავამახინჯე,—ამ რუსულ გაზეთის „ზაკავ. რეჩის“ რეცენზენტს რაღა ღმერთი გაუწყრა?! ვეჭვობ, რომ ეს რეცენზიაც, რომელიც იმავე დღეს გამოვიდა, არ წაგეკითხოთ. აღნიშნულ რუსულ გაზეთის რეცენზიაში ვკითხულობთ: „ბ. კაკაბაძის ლექციამ ბევრი მეტად გააოცა ლექტორის მიერ უკიდურესი დებულების განვითარებით. საერთოდ ლექტორი სცდილობდა დაემტკიცებინა შემდეგი: საქართველოს წარსულში (ახალ დრომდე) სულ არა ჰქონდა საკუთარი, ნაციონალური ლიტერატურა. აყვავება კლასიკურ ლიტერატურისა მე-XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, ქართულ ლიტერატურაში ეგრედ წოდებული „ოქროს ხანა“,—არის მითი,—ნაყოფი პატრიოტულ თავმოყვარეობისა. ამ ხანებში ჩნდებოდნენ მხოლოდ მთარგმნელები სპარსულ მწერლებისა.—

შ. რუსთაველმა „ვეფხის ტყაოსანი“ სპარსულიდან გადმოთარგმნა.., საქართველოს მთელ მრავალ საუკუნის ისტორიაში არ არსებობდა ქართული ნაციონალური შემოქმედება; ნაციონალურმა კულტურამ ვერ შესძლო მოეცა თავისი მხატვრული სახე ლიტერატურაშიო და სხვ... აი რა სამწუხარო დასკვნამდე მივიდა ლექტორი უკიდურეს, ტენდენციურ ისტორიულ მეთოდის წყალობითაო. ჩვენ ლექტორისაგან მოველოდით მეტ ობიექტიურ მსჯელობას. ქართული ისტორია ნაკლებად გამოკვლეულია და სწორედ მისი გამოკვლევა **წინასწარ განზრახულ გეგმით**, როცა შენებურად იყენებ მცირედ გაშუქებულ ისტორიულ ფაქტებსო. მაგ გზით კაცი შეიძლება მივიდეს მთელ ქართულ ლიტერატურის უარ-ყოფამდე... მაგრამ ესრეთ დებულებებს თავისი აშკარა უღიერობით (!) იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ყოველივე ვერ ყოფილა წეს-რიგად იმ ისტორიულ კვლევის მეთოდში, რომლისთვისაც მიუმართავს ლექტორს“...

და განა ჩემს რეცენზიაში ამაზე მეტი იყო?! მაშ, რაღა ოთარაანთ ქვრივივით ჩემზე გამოილაშქრეთ, ან იქნება რამე მოსაზრებით თქვენ ამჯობინეთ, რომ ასეთი აზრი არსებობდეს რუს საზოგადოებაში? ან იქნება ამ რუსულ გაზეთის რეცენზენტსაც რამე დასწამოთ, მაშინ მივმართავთ ლექციაზე დამსწრეთ ცნობილ პირებს: ქ-ნ ნინო ნაკაშიძეს, ბ.ბ ლ. ბოცვაძეს, დ. კასრაძეს, ირეთელს, კ. ასათიანს და სხვ. დამსწრეთ, რომელთაც, ვფიქრობთ, იმოდენად შესწევთ მოქალაქობრივი გაბედულება, რომ მოურიდებლად გამოსთქვამენ, რამდენად ობიექტიური იყო ჩვენი რეცენზიები.

გეთანხმებით, რომ თქვენი ლექციის სათაური იყო: „ალ. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურის ისტორიაში“, მაგრამ ფაქტიურად კი გამოვიდა „ქართულ ლიტერატურის ისტორია ალ. ჭავჭავაძემდე“. ამ გვარად, „რეცენზია ჩემი ფანტაზიის ნაყოფი“ კი არ არის, როგორც თქვენა ბრძანებთ, არამედ თქვენი ფანტაზია მაშინ სადღაც ყოფილა, როცა თქვენ ლექციას კითხულობდით...

თქვენ ყოყოჩობით გაიძახით: „მე დარწმუნებული ვარ ბ.—ციხელი არც მარრის, არც ხახანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას არ იცნობს და თუ მიუხედავად ამისა მან **ამ გვარ არა სავადრის ფანდს**(?!) მიმართა, ეს მისი საქმეა“-ო. ამასთანავე უარს არა ჰყოფთ, რომ ხელმძღვანელობდით აღნიშნულ პროფ. ნაწერებით და თან თავმომწონედ გაიძახით: იმათ ის აზრები გამოთქმული არა აქვთ, რაც მე კვირას ვთქვიო“ (ოღონდაც)! განდიდების სურვილი, ვით ბურანში წასულ კაცს, ჯერ არც მაგისთანა რამეებს ათქმევინებს: აბა ჯერ ერთი საიდან გეცოდინებათ თქვენ ჩემი ცოდნა, არ ცოდნა, აღნიშნულ პროფესორთა ნაწერებისა, როდესაც მე თქვენი არამც თუ პირადად ცნობა არა მაქვს, არამედ ერთი სიტყვითაც არ დაგლაპარაკებივართ, მით უმეტეს აბა მე თქვენთან რა მეფანდებოდა?! რაც შეეხება იმას, რომ ბ. ბ. მარრს და ხახანაშვილს „ის აზრები გამოთქმული არა აქვთ, რაც თქვენ კვირას სთქვით,“—გჯერა, ბატონო, რადგანაც ისინი ისეთ უღიერის კადნიერებით იმის უარს ვერ ჰყოფდნენ, რაც არსებობდა.

დასასრულ უნდა მოვახსენო ბ. კაკაბაძეს, რომ კარგია სახელის მოხვეჭა, მხოლოდ იმის მოსაპოვებლად ორი ისტორიული გზაა ნაჩვენები: ერთი პიროვნებისგან მოითხოვს ბუნებით თანდაყოლილ უნარის გარდა მუდმივ და თავ-გამოდებულ შრომამეცადინეობას, მიმართულს თავისი ხალხის (და თუ ძალა შესწევს, მთელი კაცობრიობის) საკეთილდღეოდ, სახელის ამამაღლებლად. ამით ხალხთან ერთად მაღლდება კერძო პიროვნებაც. მეორე გზით სახელის მოსახვეჭად ჰეროსტრატისებური ტიპები არ ერიდებიან, რომ ხალხის სალოცავი და სათაყვანებელი ისტორიული ნაშთნი და ტაძრები დასწვან, გაანადგურონ... რომელ მათგანს უფრო შეეფერება გ. კაკაბაძის საქციელი, მიგვინდვია თვითვე გამოიცნო...

ციხელი.

---

*) ამ საგანზე პოლემიკას ვსპობთ.
რედაქცია.

თეატრი და ხელოვნება

სახაზინო თეატრი. 17 ნოემბერს სახაზინო თეატრში **ივ. ფალიაშვილის სახენეფისოდ** დასდგეს ოპერა „კამმორა“. ხალხი ბლომად დაესწრო. ოპერამ კარგად ჩაიარა. დაწვრილებით ხვალ.

სალიტერატურო გასამართლება. კვირას, 20 ნოემბერს, ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლში გაასამართლებენ ლ. ნ. ტოლსტოის „კრეიცერის სონატის“ უმთავრეს გმირს პოზდნიშევს, გამორკვეული იქნება მუსიკის გავლენა ადამიანზე. სასამართლოს თავმჯდომარე. კ. ჯაფარიძე; ბრალმდებელი—ჟორდანია, ტარასევიჩი, იანევიჩი. ნაფიცი მსაჯულები: ი. ნაკაშიძე, ნ. ნაკაშიძე, ე. დუბროვინისა, მ. მაკოვსკისა, ა. ბაბოვი, მ. კონცისერი. დ. სპასკი, ნ. ნესტეროვი, ლ. უშანსკი, ნ. სერებრენიკოვი, გ. კანანოვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი 50 კ.—5 კ.

წერილი რედ. მიმართ

მ. ს. გ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ.

თქვენი პატივცემული გაზეთის ექვს ნოემბრის ნომერში ს. კულაშელი მოგვითხრობს სამტრედიის სასამართლოს 27 ოქტომბრის სხდომის ამბავს, სადაც ირჩეოდა ნესტორ კიკაჩეიშვილის რამოდენიმე საქმე. სამწუხაროდ, ამ წერილში რამოდენიმე შეცდომაა.

ის სწერს თითქოს მე კიკაჩეიშვილს ვუჩიოდი ი. ჯანჯღავას ცოლის მოწამვლას და აღკრძალულ წამლებით ვაჭრობას და, გარდა ამისა, საქმის გარჩევის დროს თითქოს მომეთხოვოს მოსამართლისაგან კიკაჩეიშვილის გადასახლება, ან ექვსი თვით ციხეში დაპატიმრება.

ი. ჯანჯღავას ცოლის მოწამვლის თაობაზე კიკაჩეიშვილს მე კი არ ვუჩიოდი, არამედ პოლიციის ოქმის მიხედვით ყო პასუხისგებაში მიცემული. მე კი მხოლოდ მოწმე ვიყავი და მოსამართლის შეკითხვაზე—„როცა თქვენ ანტონინა ჯანჯღავასთან საქმიმოდ მიგიწვიეს, იყო ის კიკაჩეიშვილის წამლით მოწამლული?“—ვუპასუხე: „არა, ის მოწამლული არ იყო“.

გარდა ამისა მე, როგორც მოწმეს, არც შემეძლო რაიმეს მოთხოვა მოსამართლისაგან. და ისიც არ შემეძლო არ მცოდნოდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეს ისეთი საქმეების გარჩევა არ ექვემდებარება, რომლისთვისაც დამნაშავეს გადასახლება ელის.

ეს გარემოება უნდა სცოდნოდა ბ-ნ კორესპონდენტსაც.

პატივისცემით ექიმი რ. ნანეიშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ: 1) **საფოსტ. მატარებ.** № 7, II—III კლ. საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., ხაშურში... წიწამურში? Fully: 1 ს. 25 წ., წინაილღვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) **საფოსტ. მატარ.** N 5. I—III კლას. საღ. 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 ს. 26 წ. 3) **სამგზავრო მატ.** დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) **ჩქარი მატარ.** N 2 I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ. 2) **საფოსტ. მატარ.** № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ. ბაქოში 8 ს. 11 წ. 3) **სამგზავრო მატ.** N 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ. 4) **შერეულ. მატარ.** № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5, ს. 58 წ. ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისკენ: 1) **საფოსტ. მატარ.** N 9/66, I—III კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) **სამგზავრო მატ.** N 74/75, I—III კლას. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10წ. 2) **საფოსტ.-საქონლ. მატარ.** N 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილ. 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან: 1) **საფოსტ.** N 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. **სამგზავრ.** N 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ., 3) **საფოსტ.** N 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) **საფოსტ.** N 5, I—III კლ. საღ. 5 ს. 7 წ. 2) **სამგზავრო** N 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) **ჩქარი** N 1, I—III კლას. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) **შერეული** N 107. IV—III კლ. ღამ. 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: **სამგზავრო** N 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ., 2) **საფოსტ.-საქონლ.** N 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: **სამგზავრო** № 61/10, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებლებს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

ნამესტნიკი ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში, ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

ეგზარხოსი—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

ტფილისის გუბერნატორი — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. ქიმში).

კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მოქმედება მთავარი რწმუნებული— ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩ. N 9).

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

ნ ი ხ რ ი

ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა
(მეეტლეებთან მოურიგებლად).

1.	ქალაქში ერთ ადგილამდე . .	40 კ.
2.	ქალაქიდან განაპირაუბნე ნავთლუხი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან	70 „
3.	ვაგზლიდან ქალაქში	70 „
4.	ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ.	—
5.	ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში	40 „
6.	ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე	50 „
7.	მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან .	80 „
8.	ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში	50 „
9.	ფუნიკულერის სადგურამდე .	50 „
10.	იქიდან უკან დაბრუნება . .	40

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩაქუევანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა,

ზ. ი. ბაბანასოვა: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეგტაბეგოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. მუგანოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. მ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. ბუხბინდერი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი

ქალ.-ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—8 ნ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ბეგტიხიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. 606 **წამლობა**,
კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინ. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**.
(წ. (1168—186)

მუხრანის ქარქი
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. მ. გოგოსბერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. ისხელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევრიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაყვარეიშვილი—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. აბვერდოვი—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

408 მი—კბილისა, 8—10 ს.-დე.

მ. გ. მიკირტუმოვი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექ- ბისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—175

სამშობიარო თავშესაფარი
მ. ი. პრემერ

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და საბებიო საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრ ს ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.
(25—913—14) **ი. გ. კალამკარიანცი.**

გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც განაგრძობს მეცადინეობას ჩემი სწავლული ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, სადერმო,"სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის** **ხარისხზე.** ყველა **კლასის ჩინისთვის** დებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება ს.მ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროს 15 წლისა, მიიღებენ სრულ **ხარჯზედაც** **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებულა აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. (около памятн. Воронцову), спросить учителя. (თ. 1084.24)

მ. ი. ძნელაძე

დაბრუნდა და ხელახლად იღებს საქმეებს
ფორტეპიანოებს
შეკეთებისა და მოწყობისთვის.

ადრესი: მიხეილის პროსპ., 118, მეტეხის სახტ. პირდაპირ. პირადად ნახვა შეიძლება შუადღ. 1—2 ს. (5.934.

ძმ. ავსარქისოვების
საგალოსნო

მუყაოს ხ ი ლ ი ს ნ ე რ გ ე ბ ს
უცხოეთისას, რუსულსა და ადგილობრივს საუკეთესო ჯიშისას—ხელსაყრელ ფასებში.

კატალოგები **უფასოდ.**

ადრესი: სადგ. **ხრამ** (ამიერ-კავკას. რკ. გზა, ავსარქისოვს. (11.1569.9)

ა ვ ე ნ ტ ი
მ. ა. გაჩონია

დებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების მიმღები **აგენტობაა ლ. ე მეტეხის და ამხ. და სააქციონერო სახლ.** „**ანონსი**“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი“, კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

გამოვიდა და იყიდება
თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა: წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, ფ. 75 კ.
„ „ წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა“. . . ფ. 80 კ.
„ „ წ. III. „ნააზრევი“ . . . . ფ. 65 კ.
„ „ წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან“, 1901—1902 წ. . . . . . ფ: 85 კ.
B a t o n-ასა: „ერი და კაცობრიობა“ . . . . . . ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. უიფიანისა: «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა: «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . . ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ГАЛОШИ
ТРЕУГОЛЬНИКЪ
(40—1465—28)